

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია განსაზღვროს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „აწსუ“) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, უფლება-მოვალეობები, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი II. აწსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. აწსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებ აცხადდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება ვაკანტური ადგილები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და მიღების ვადა.

2. მიღება შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და გაზაფხულზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწყის საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენ სსსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა ტესტირების შედეგები.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება აწსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. აწსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა

1. აწსუ-ში მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დეკანი წარდგინებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. მობილობის გამოცხადებასთან ერთად ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე აწსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს აწსუ-ს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

5. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და

მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს აწსუ-ს ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი დაწესებულების სტუდენტს.

6. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში.

8. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა დასწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საფაკულტეტო კომისიის მიერ.

10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აწსუ-ში მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და განათლების აღიარების თაობაზე ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა

1. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამით.

2. პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

3. კრედიტის მისაღებად პროფესიულის ტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) რეგისტრაციის გაუვლელიობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

დ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

ე) პირადი განცხადება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში.

3. აწსუ-ში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
- ბ) პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (თუ ორჯერ ვერ გაიარა ერთი და იგივე კურსი, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი);
- დ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე“;
- ე) გარდაცვალება.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს აწსუ-ს რექტორს.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება აწსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობს შეიცვალა ან გაუქმდა, აწსუ უზრუნველყოფს თავის წიაღში ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებას და/ან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტის მობილობის პრინციპით ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პროფესიული სტუდენტის წავლობდა.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

1. აწსუ-ს პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) ისარგებლოს აწსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია აწსუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

2. აწსუ-ს პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა საგანი, რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

მუხლი 10. სწავლის საფასური

1. აწსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით დადგენილი ოდენობით.

2. სტატუსშეჩრებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ახალი ხელშეკრულებით ამ წესით განსაზღვრული 10.1 პირობის დაცვით.

მუხლი 11. დამატებითი სემესტრი

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.

თავი V. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

მუხლი 12. შუალედური/დასკვნითი გამოცდა

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა.

2. პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და აწსუ-ს ეთიკის კოდექსთან;

ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 30%-ზე ნაკლების მიღება.

3. დასკვნით დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

- ბ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- დ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;
- გ) პროფესიული სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;
- ე) ძირითად და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში პროფესიული სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 30%-ს.

2. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაცნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება დაეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, რაცნიშნავს, რომ პროფესიულის ტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო რა რის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

6. მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი დაიშვება მომდევნო მოდულზე სწავლის დაწყებიდან ერთიკვირის ვადაში თუ ამპერიოდში არ დგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი.

7. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდული წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

8. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

9. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო დაპროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

თავი VI. კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამის ფაკულტეტზე შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია.

მუხლი 15. პროფესიული დიპლომი

1. კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი.

2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი VII. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის შესახებ

მუხლი 16. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დეპარტამენტების სხდომებზე;

2. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით;

3. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს კონკრეტული პროფესიული პროგრამის განხორციელების საერთო ზედამხედველობას, მის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას, ცალკეული კურსებისათვის სასწავლო დატვირთვის მოცულობის განსაზღვრას, სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას და სილაბუსების მომზადების ორგანიზებას.

მუხლი 17. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების წესი

1. პროფესიული მასწავლებლების მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება წარმოადგენს ამ პროგრამის მასწავლებლებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს;

3. შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.

თავი VIII. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

1. პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის განხორციელებელი პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა.
- შიდა შეფასების ანგარიშები.

გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გამოკითხვები ტარდება ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.